საქართველოს მთავრობის

დადგენილება №492

2020 წლის 7 აგვისტო

ქ. თბილისი

„სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/10/2018, 300160070.10.003.020792) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია პროდუქტზე დატანილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30 კალენდარულ დღეში, ხოლო იმპორტის გზით საქართველოს ბაზარზე განსათავსებელ პროდუქტებთან მიმართებით დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 14 კალენდარულ დღეში.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**